



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1071  
05/06/2018

ქალაქი ბათუმი

1071-05-4-201806050957



### კახაბერ ფუტყარაძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი, მე-2-ე პუნქტებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი 2018 წლის 04 ივნისის №7938/05 კორესპოდენციის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. კახაბერ ფუტყარაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მივლინებული იქნეს ქალაქ თბილისში, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯია“-ში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, (USAID) ამერიკელი ხალხისაგან მხარდაჭერით დაგეგმილ სამუშაო შეხვედრაში - „ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) - ეფექტური მექანიზმი დემოკრატიული მმართველობის ხელშესაწყობად გაუმჯობესებული, გამჭვირვალობით, ანგარიშვალდებულებით, მოქალაქეთა ჩართულობითა და ინოვაციების გზით“ საპანელო განხილვაში მონაწილეობის მიზნით, 2018 წლის 04 ივნისიდან 06 ივნისის ჩათვლით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (მ/შ მ. გვიანიძე) უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა